

ტვინების ბრძოლა

საქალაქო ჩემპიონატი | გაზაფხული 2025

U12 (IX, X, XI, XII კლასები)

12 აპრილი

1. 5-ქულიანი შეკითხვა

ერთი რესტორანი ფასდაკლებას სთავაზობს იმ მომხმარებელს, რომელიც დანესებულებაში შესვლისას გააკეთებს ამას, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ასეთი კლიენტებისთვის კერძების ხელახლა გაცხელება საჭირო არ ხდება. იმედი გვაქვს, ამის გაკეთება არც თქვენ დაგინწყებიათ. დასახელებით “ამის გაკეთებით” შეცვლილი ორი სიტყვა.

პასუხი: ტელეფონის გამორთვა

კომენტარი: როცა სქროლავთ ან სხვა საზრუნავებით გონება არ ეფანტებათ, მომხმარებლები კერძის დროულად მიღებვაზე არიან კონცენტრირებული და, შესაბამისად, საკვების ხელახლა გაცხელებაც აღარ ხდება საჭირო. იმედი გვაქვს, მითითებისამებრ, უკვე ყველამ გამორთეთ მობილური ტელეფონები.

წყარო: “მეცნიერება და ცხოვრება”, No 3, 2014, გვ. 55

2. 6-ქულიანი შეკითხვა

[დასარიგებელი მასალა]

<https://stopwatching>

2013 წელს ედვარდ სნოუდენმა გაასაჯაროვა უამრავი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა, რომ სადაზვერვო სამსახურები უთვალთვალდნენ რიგით მოქალაქეებს. ამ ფაქტთან დაკავშირებულ მიტინგებზე მისული ამერიკელი აქტივისტების ბანერზე შეხვდებოდით თქვენთვის დარიგებულ წარწერას. წარწერის ბოლოში ჩვენ წავშალეთ სამი სიმბოლო. დანერეთ ეს სამი სიმბოლო.

პასუხი: .us

კომენტარი: წარწერის პირველი ასოები ნათელს ჰფენდა, რომ საქმე გვექონდა საიტის მისამართთან. “.us” (წერტილი იუ ეს) ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული დომენია, რომლითაც მომიტინგეებმა კრეატიულად გადაათამაშეს სიტყვები “გეყოთ ჩვენი თვალთვალი” (stop watching us).

წყარო:

<https://www.vice.com/en/article/thousands-rally-in-dc-to-urge-the-nsa-to-stop-watching-us/>

3. 7-ქულიანი შეკითხვა

ჯოზეფ ანდერვუდი, რომელიც ცხოვრობდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ითვლება ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ თაღლითად (ე.წ. სქემერად). ერთი ავტორი აღნიშნავს როგორც ანდერვუდის ლიტერატურულ ნიჭს, ასევე მის არაჩვეულებრივ შესაძლებლობებს იქსში. დანერეთ იქსი რაც შეიძლება ლამაზად, ბერძნული წარმოშობის სიტყვით.

პასუხი: კალიგრაფია

კომენტარი: ვოზეფ ანდერვუდს ჰქონდა უნარი, სრულყოფილად გამოეყენებინა სხვადასხვა კალიგრაფია, რის წყალობითაც ის უამრავ თაღლითურ წერილსა და ყალბ ხელშეკრულებას ამზადებდა. სიტყვები “დანერეთ რაც შეიძლება ლამაზად” დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა, რადგან კალიგრაფია ბერძნულად “ლამაზად წერას” ნიშნავს.

წყარო: <https://i.imgur.com/LsPvFYH.png>

4. 5-ქულიანი შეკითხვა

ფორბსის მიხედვით, **უმდიდრესი პერსონაჟების** სიაში ვხვდებით: **ორ სუპერგმირს, ვამპირს და იქსს**, რომელიც **დისნეის** ცნობილი **მულტიპლიკაციური პერსონაჟის ბიძაა**. ჯერომ სელინჯერის წიგნში, **ცენტრალ პარკის გაყინული ტბის** შემხედვარე ჰოლდენი დაინტერესდება, **რა ბედი ეწიათ იქსებს**. დანერეთ იქსით შეცვლილი **ფრინველი**.

პასუხი: იხვი

კომენტარი: ფორბსის სიაში ვხვდებით ბინდის საგის პერსონაჟ კარლაილს, ტონი სტარკსა და ბრიუს უეინს, ხოლო დონალდ დაკის ბიძა სკრუჯ მაკდაკი საპატიო მეორე ადგილს იკავებს **33.5** მილიარდით. წიგნში “თამაში ჭვავის ყანაში” ჰოლდენი ცენტრალ პარკის მობინადრე იხვების ამბით დაინტერესდება, რადგან მათ საბინადრო ტბა გაეყინათ.

წყარო:

<https://www.forbes.com/sites/michaelnoer/2011/03/08/the-forbes-fictional-15-help-us-identify-the-richest-fictional-characters/>

<https://biblusi.ge/products/2162/tamashi-chvavis-yanashi>

5. 6-ქულიანი შეკითხვა

იქსით შეცვლილია **ორი სიტყვა**.

ერთი მუსიკალური ალბომის, სახელად **"505"**-ის სიმღერების პერსონაჟები ხშირად ვარდებიან **რთულ სიტუაციაში** და **დახმარება სჭირდებათ**. ერთი კრიტიკოსი ალბომს უწოდებს **მსმენელისთვის განკუთვნილ იქსს**. დანერეთ **სამი ინგლისური ასო**, რომელიც **ფიგურირებს** იქსში.

პასუხი: SOS

კომენტარი: კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ მუსიკოსებმა ამ ალბომით მსმენელებს გაუგზავნეს **SOS** სიგნალი დახმარების სათხოვნელად. სიტყვა **SOS** გადაუდებელი დახმარების აღმნიშვნელია, ხოლო რიცხვი **505** ჰგავს ლათინური ასოებით დანერულ სიტყვას **SOS**.

წყარო: <https://genius.com/albums/Electroforez/505>

<https://www.sobaka.ru/entertainment/music/123556>

6. 7-ქულიანი შეკითხვა

[დასარიგებელი მასალა]



ამ **სახუმარო** პოსტერზე ჩვენ დავფარეთ **ცნობილი ობიექტი**. დაასახელეთ **ბერძნული კუნძული**, სადაც ეს ობიექტი **აღმოაჩინეს**.

პასუხი: მილოსი

კომენტარი: სახუმარო პოსტერზე გამოსახული ცნობილი უხელებო ვენერას ქანდაკება შეჰყურებს მრავალხელა ღვთაების ქანდაკებას და ნუხს, რომ ცხოვრება უსამართლოა. ვენერას ეს ცნობილი ქანდაკება, რომელსაც ხელები არ აქვს, "ვენერა მილოსელის" სახელით არის ცნობილი იმ კუნძულის პატივსაცემად, სადაც ქანდაკება აღმოაჩინეს.

წყარო: <https://ar.pinterest.com/pin/269371621434013641/>

7. 5-ქულიანი შეკითხვა

თეთრი სახლის ერთ-ერთ კედელზე დონალდ ტრამპის იქსს ვხვდებით **ორჯერ**, მაგრამ **არა გვერდიგვერდ**. ვოლოდიმირ ზელენსკიმ ინაუგურაციაზე განაცხადა, რომ კაბინეტებში, **იქსის ნაცვლად**, უმჯობესია **ოჯახის წევრების სურათების** ჩამოკიდება. დაწერეთ იქსი **ორი სიტყვით**, რომლებიც **ერთსა და იმავე ასოზე** იწყება.

პასუხი: პრეზიდენტის პორტრეტი

კომენტარი: დონალდ ტრამპი ამერიკის ისტორიაში გრუვერ კლივლენდის შემდეგ მეორე პრეზიდენტია, რომელმაც მეორე საპრეზიდენტო ვადა არჩევნებში მარცხის შემდეგ მოიპოვა. ამიტომ, ტრამპის პორტრეტებს შორის ბაიდენის პორტრეტია მოქცეული. ზელენსკიმ ინაუგურაციაზე განაცხადა, რომ არაა აუცილებელი პრეზიდენტის პორტრეტის კაბინეტებში განთავსება.

წყარო:

<https://www.toledoblade.com/local/suburbs/2020/02/06/whitehouse-inn-presidential-portrait-wall-causes-controversy/stories/20200204013>

<https://www.youtube.com/watch?v=PrpFr-X6D5E>

8. 6-ქულიანი შეკითხვა

[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

ძველ ინგლისურად „witan“ [ვიტან] ნიშნავს „ბრძენ კაცს“, ხოლო „gemot“ [გემოთ] ნიშნავს „შეკრებას“. Witenagemot [ვიტანგემოთი], რომელიც ინგლისში მე-13 საუკუნემდეც არსებობდა, იქსის პროტოტიპად ითვლება. დაასახელეთ იქსი ფრანგული წარმოშობის სიტყვით.

პასუხი: პარლამენტი

კომენტარი: ეტიმოლოგიურად შეგვიძლია მივხვდეთ, რომ პარლამენტი, ბრიტანელთა რწმენით, ბრძენი ადამიანებისგან უნდა დაკომპლექტებულიყო. საინტერესოა, რომ ვიტანგემოთი, რომელიც პარლამენტის როლს ითავსებდა, ინგლისის პარლამენტის ოფიციალურ ჩამოყალიბებამდეც არსებობდა.

წყარო: en.wikipedia.org/wiki/Witan

9. 7-ქულიანი შეკითხვა

თავისი მეგობრის ისტორიით შთაგონებულმა რინო დუბოკოვიჩმა უჩვეულო იქსის მუზეუმი დააარსა. ისტორიის თანახმად, შაბათ დილას მეგობარმა ჯიბეში ველოსიპედის პედალი იპოვა. იქსს აღწერს ფრანგული იდიომა, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „თმაც კი გტკივა“. დაწერეთ იქსი ქართულად, თუ გეტყვით, რომ ის მითოლოგიურ პერსონაჟთანაც ასოცირდება.

პასუხი: ნაბახუსევი

კომენტარი: ეს მუზეუმი შეიცავს ნივთებს, რომლებსაც ადამიანები მოულოდნელად პოულობენ დილით, წინა საღამოს ალკოჰოლის მიღების შემდეგ. აღმოჩნდა, რომ დუბოკოვიჩის მეგობარმა დილით ჯიბეში იპოვა პედალი, რომლის წარმომავლობაც არ ახსოვდა. სიტყვა „ნაბახუსევი“ ღვინის ღვთაება ბახუსთან (იგივე დიონისესთან) ასოცირდება.

წყარო: <https://archive.ph/zfKQe#selection-3097.52-3097.57>

ფრანგული ზმნები და იდიომები. - Lahnam: University Press of America, 2005. - გვ. 228.
// <https://archive.ph/0DUJw#60%>

10. 5-ქულიანი შეკითხვა

[დასარიგებელი მასალა]

Le Mano de D__s

თქვენ წინაშეა წარწერა რეჟისორ მარკო რისის ფილმ „ღმერთის ხელის“ პოსტერიდან. დაწერეთ რიცხვი, რომელიც ბოლო სიტყვაში გამოვტოვეთ.

პასუხი: 10

კომენტარი: იტალიელმა რეჟისორმა ფილმი გადაიღო ლეგენდარულ ფეხბურთელ დიეგო არმანდო მარადონაზე, რომელიც 10-ნომრიანი მაისურით თამაშობდა. „ღმერთის ხელის“ სახელით მარადონას ცნობილ გოლს მოიხსენიებენ. „დიოს“ ესპანურად ღმერთს ნიშნავს, ხოლო 1 და 0 წარწერაში ითავსებდნენ ასოების „i“ და „o“-ს როლს.

წყარო: <https://www.mymovies.it/film/2006/maradonalamanodedios/poster/0/>

11. 6-ქულიანი შეკითხვა

ამერიკული სპორტისადმი მიძღვნილი მონეტის ერთ მხარეს გამოსახულია **იქსი**, მეორე მხარეს კი - **ბურთზე** არსებული **სპეციფიკური ნაკერები**. იქსი **მეოცე საუკუნის შუაში** გამოსული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის **ატრიბუტადაც** ითვლება. დაწერეთ იქსი **ორი** სიტყვით.

პასუხი: ბეისბოლის ხელთათმანი

კომენტარი: მონეტის ავერსზე შეგვიძლია დავინახოთ ამერიკაში გავრცელებული პოპულარული სპორტის, ბეისბოლის ბურთი, რევერსზე კი გამოსახულია ბეისბოლის ხელთათმანი. ჯერომ სელინჯერის ნიგნში “თამაში ქვავის ყანაში” ბეისბოლის ხელთათმანი მთავარი პერსონაჟის ატრიბუტიცაა.

წყარო: <https://en.numista.com/catalogue/pieces58917.html>

<https://www.cliffsnotes.com/literature/c/the-catcher-in-the-rye/critical-essays/major-symbols>

12. 7-ქულიანი შეკითხვა

კუნას ინდიელთა ტომი **ალბინოსებს** „**იქსის ბავშვებს**“ უწოდებს. 1832 წელს მუსიკალურმა კრიტიკოსმა **ლუდვიგ რელშტაბმა** ცნობილი **ნაწარმოები** შეადარა **ლამეს** ფირვალდშტატის ტბაზე, რის შემდეგაც ნაწარმოების სახელში **ახსენებენ იქსს**. დაწერეთ იქსი **ერთი** სიტყვით.

პასუხი: მთვარე

კომენტარი: კუნას ტომში ალბინოსებს მთვარის ბავშვებად მოიხსენიებენ. ბეთჰოვენის გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ, მუსიკალურმა კრიტიკოსმა ლუდვიგ რელშტაბმა ბეთჰოვენის ცნობილი ნაწარმოები შეადარა მთვარის შუქით სავსე ლამეს ფირვალდშტატის ტბაზე, რის შედეგადაც ფორტეპიანოს სონატა **#14-ს** მთვარის სონატას უწოდებთ.

წყარო: <https://tinyurl.com/y56zockw2>.

[https://ru.wikipedia.org/wiki/Соната_для_фортепиано_№_14_\(Бетховен\)](https://ru.wikipedia.org/wiki/Соната_для_фортепиано_№_14_(Бетховен))

13. 5-ქულიანი შეკითხვა

მეცნიერი მაიკ პირსონი ვარაუდობს, რომ ეს **მისტერიული ნაგებობა** სიმბოლიზირებდა **ქვის ხანის კუნძულები ხალხების ერთიანობას**. ამერიკელი **ხელოვნებათმცოდნე** ამ ნაგებობას **ხუმრობით** უწოდებს **პირველ ბრიტანულ როკ ჯგუფს**. დაასახელეთ ეს ნაგებობა **უცხოური** სიტყვით.

პასუხი: სტოუნჰენჯი

კომენტარი: მაიკ პირსონი ვარაუდობს, სტოუნჰენჯი ბრიტანეთის კუნძულებზე მცხოვრები ხალხის ერთობლიობის სიმბოლოა. ქვების ამ კონსტრუქციას ხელოვნებათმცოდნემ პირველი ბრიტანული როკ ჯგუფი უწოდა, რადგან “**rock**” ინგლისურად ნიშნავს ქვას.

წყარო:

<https://www.newscientist.com/article/2461558-stonehenge-may-have-been-built-to-unify-people-of-ancient-britain/>

C.Strickland, J.Boswell. The Annotated Mona Lisa: A Crash Course in Art History From Prehistoric to Post-Modern

14. 6-ქულიანი შეკითხვა

ერთ ვიდეოთამაშში, შუა საუკუნეებში მოღვაწე მონარქით გამარჯვებისას, მოთამაშე იღებს მიღწევას (ენ. ეჩივმენტს), სახელად “გასხივოსნებული საქმეები, მზესავით კაშკაშა”. მიღწევის სახელი ალუზიაა ცნობილ ნაწარმოებზე. დაასახელეთ ეს მონარქი.

პასუხი: თამარ მეფე

კომენტარი: ეს მიღწევა შთაგონებულია შოთა რუსთაველის პოემიდან "ვეფხისტყაოსანი", სადაც თინათინზე ნათქვამია: "შუქთა მისთაებრ საქმეცა, მისი მზებრ განაცხადია." ვიდეოთამაშში “ცივილიზაცია 6” თამარ მეფე პერსონაჟად გვხვდება, რომლით გამარჯვებისასაც ნახსენებ მიღწევას მიიღებთ.

წყარო: https://civilization.fandom.com/wiki/Steam_achievements_in_Civ6
<https://ka.wikipedia.org/wiki/ვეფხისტყაოსანი>

15. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]



[შენიშვნა: თითოეულ გუნდს ურიგდება ზუსტად 2 ცალი]

თქვენ წინაშეა საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წლებში შესრულებული ნახატის ნაწილი. ერთობლივი ძალისხმევით დაწერეთ სიმბოლო, რომელიც გამოსახული იყო მთლიან ნახატზე.

პასუხი: \$

ჩათვლა: დოლარი, დოლარის ნიშანი, დოლარის სიმბოლო

კომენტარი: თქვენთვის დარიგებული ორი მასალის შეერთებით შეგეძლოთ დაგენახათ საბჭოთა ნამგლითა და უროთი სტილიზებული დოლარის ნიშანი. ასე დახატა ავტორმა კომუნისტური იდეებიდან საბაზროზე ეკონომიკაზე გადასვლა, სადაც დოლარი მთავარ სავაჭრო ვალუტას წარმოადგენს.

წყარო: <https://vladey.net/ru/lot/1244>